

2 1998

აპრილი

136
1998


ISSN 0132-6015

ქართული
ბიბლიოთეკა

აგს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის
ჟურნალი

სახელი



- მინისტრმა მოხოვა: ბიუჯეტი სამყოფ ფულს არ მაძლევს და პენსიონერების რიცხვის შემცირებაში დამეხმარე...

თემა და ნახ.
მ. აბაშიძის



მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ გოლსა“.

ხოლო უფლისა შობასა დილომს იბერიისასა, აჰა მსაჯულნი მოვიდეს თბილისად და იტყოდეს:

„უკუეთუ ფერი შენი მარჯუენე გაცოუნებდეს შენ, ბეი ლეგოი, რომელ არს მარცხენე.“

ანუ რაისა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დერესა კარსა შინა შენსა არა განიცდი?“

ხოლო უფალმან მიუგო და რქუა: „წერილ არს, რამეთუ არა გოლითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა ფინტითა, რომელი გამოვალს ფეხისაგან მესხისა“.

და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თვსთა და მისცა მათ ბურთი და მოედანნი.

ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: რამაზი, რომელსა ეწოდა მეკარე და რეზო, და ძმაი მისი ძიძუასშვილი, და მურთაზ ბანძას შობილი და ფირუზ, ძმაი მისი;

გურამ ცხოვრებოვი და მეორე გურამ, შვილი პეტრიასი. კახი ასათიანი ძმაი მათი;

სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი და გოჩა გაგაშელი უძრწუმესი და გვიე ნოღია. ძმა ლევანისი...

მიუგო და პრქუა უფალმან მოციქულთა თვსთა: „ხოლო თქუენ ესრეთ ილოცვედით: ფეხბურთო ჩუენო, რომელი ხარ ქალაქთა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი;

მოვედინ სუფევაი შენი, იყავნ ნებაი შენი, ვითარცა ქალაქსა შინა, ეგრეცა დილომსა ზედა.

ბურთი ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს!

ტრაგიკულად დაიღუპა ურნალ „ნიანგის“ რედკოლეგიის წევრი რომან მიმინოშვილი. მისი მადლიანი სიტყვა, ღიმილი აზრო და მახვილი კალამი თანაბრად დააკლდება ქართულ მეცნიერებას, პოლიტიკურ ცხოვრებას და ჩვენი ურნალის მკითხველს. წლების მანძილზე „ნიანგის“ ვკვრდებამს ამშვენებდა „აკტიპიტერის“ („მიმინო“-ლათინურად) ხალისიანი და ოდნავ სუსხიანი იუმორით გამორჩეული პროზა და ლექსი, რამდენიმე კრებული თავის დროზე გამოიცა „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერით.

მკითხველს ვთავაზობთ ფრავმენტებს ერთ-ერთი კრებულიდან, რომელსაც „ტაიმ-აუტი“ ჰქვია.

ფეხბურთის სარწმუნოება არც ისე დიდი ხნისაა, მაგრამ კაცობრიობის ნახევარს უკვე სწამს, სულ მალე კაცობრიობის მეორე ნახევარსაც დაიპყრობს.

ძლიერნი იყვენ თავის დროზე ბუდა და ამონ-რა, ქრისტე და მუჰამედი, მათი მოციქულნი. დიდი ღმერთები, პატარა ღმერთები, კიდე უფრო პატარებიც, საოჯახო პენატები თუ ღრუბულთბატონები... ოთხი სახარება ამშვენებდა ქრისტიანულ მწერლობას: მათეს, მარკოზის, ლუკასი და იოანესი.

ახალ ღვთაებას - ყოვლად წმინდა, ყოვლად ძლიერ, ყოვლად უკვდავ ფეხბურთის მარტო ერთი სახარება აქვს. ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს საფეხბურთო სახარებიდან:

„წიგნი შობისა ქართულისა ფეხბურთისა, ძისა ყორღანისა, რომელ არს დიავოლა.

ყორღანია შვა შავგულიძე, შავგულიძე შვა პაიჭაძე და ძმანი მისნი.

ხოლო პაიჭაძე შვა ლოლობერიძე, რომელ არს ბასა.

შემდგომად გამარჯვებისა მის ტაშკენტისა იამანიძე შვა ნოღია დიდი და ნოღია მცირე.

მოვიდა უფალი დილომად და ეტყოდა მოწაფეთა თვსთა: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ: ოქრო და ვერცხლი, გინა თუ რვალი, გინა თასი ბროლისაი. ირეკლით და განგელოს თქუენი ბჭენი მეცნიერებისანი.

რაისა შფოთ-ხართ? რაისა მე მოჰყენთ მაყურებელთა სნებათა გულისათა, რომელ არიან ინფარქტნი მიოკარდისანი? ამინ გეტყვ თქუენ: ნუ მიცემთ სიწმინდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა.

ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაი, რომელი შეიყვანებს ბურთსა შორის ძელთა და



ერის მწარმოებლებს თუ დავუჯარებთ

ენა ცოცხალი ორგანიზმია, იცვლება და იზრდება. წინასწარ ძნელია თქმა, თუ როგორ ილაპარაკებენ ქართულად ასი წლის შემდეგ. თუმცა, არა! ეტყობა წინასწარმეტყველება ზოგს მაინც შეუძლია. ამას ღვთაებრივი ნიჭი არ უნდა, არც ანგელოზის გამოცხადება, საჭიროა დაუჯეროთ სავაჭრო ორგანიზაციების აბრათა ავტორებს, ზოგიერთ მთარგმნელს და ნოვატორს, რომ ყველაფერი ცხადი გახდება. ხომ შეგხვედრიათ წარწერები: „დღეს გაყიდვამა ახალი ხორცი“, „მალაზია აწარმოებს განვადებით ვაჭრობას“ და მისთანები. გაჰყევით მათს გზას, ასევე აწარმოეთ ენა და თქვენ მიიღებთ მოთხრობას, რომელსაც ამ ენის მწარმოებელთა შთამომავლები დაწერენ ასი წლის შემდეგ:

- ცისფერთვალქერანაწაწილოკტანწერწეცა ქალიშვილს ხელთ აკაცშტო ეჭირა და ფოთლწყვეტას მისდევდა, თან ტუჩბუტბუტით ამბობდა:

- შეყვარებული ჩემში... არ არის შეყვარებული ჩემში?...

ბოლო ფოთოლმა დაამტკიცა მისი ეჭვი, მაგრამ ამ დროს ვაჟმა მიიღო ენერგიული ზოძები და მაღალ ღონეზე ჩატარებული ღონისძიებით მის ტუჩებზე აწარმოებდა კოცნას. მათი ნავი ზღვის ტალღებზე გაცურვამი იყო. ქალიც აქტიურად მონაწილეობდა ნიჩბის მოსმამში, ვაჟი კი გრძნობითი აღმავლობით იღებდა მონაწილეობას მის ფიქრებში, რადგან იცოდა, რომ დიდი ნდობით სარგებლობდა ქალიშვილის მომავალი ცხოვრების მოწყობის საქმეში. მათ ერთმანეთისადმი მიცემული სიტყვა, რომელშიც ცოლ-ქმრული ვალდებულებები იკისრეს, დიდი გადაჭარბებით გაანადღეს, თუმცა, თავიდანვე მათი ურთიერთობა მწვავე ბრძოლით აღინიშნა.

-ჩემში შეყვარებული ხარ? - მორცხვად ჰკითხა ქალმა.

- რა თქმა უნდა, დღევანდელი გაცურვის შედეგის მიუხედავად!

- მიზანწრაფულად უპასუხა ვაჟმა და ქალის დარცხვენა მხედველობაში მიიღო.

ნავი კვლავ ზღვის ტალღებზე გაცურვამი იყო და ისინი გვემით გათვალისწინებულის ნაცვლად ზეგეგმით კოცნას აწარმოებდნენ.

ექვსი ნავ-საათი გაატარეს ზღვაზე.



გზეთი «მიკიბუჯ-მოკიბუჯი»

„შეიბრაღე თუ კახი ხარ“

თავისუფალი გაზეთის, „მიკიბულ-მოკიბულის“ კორესპონდენტის, „ნაგლი“ ჟურნალისტის მსკლუზიური ინტერვიუ მსცამკასმდივანთან და მსსპატიმართან ჯემალ ბატატუნაშვილთან.

იმ დღით, მართალი რომ გითხრათ, სულაც არ ვაპირებდი ქვემორემდებარე ინტერვიუს აღებას, ნაცეკასმდივანის გარდა სხვაც ბევრი მოუთმენლად ელოდა ჩემთან შეხვედრას. რაღაცა შინაგანმა ხმამ გაუთვითცნობიერებლად შემომძახა და ჩემდაუნებურად ამაკრეფინა არაერთხელ ანაკრეფი ციფრები. ჩემი ხმის გაგონებაზე აბონენტს ხმა აუთრიოლდა:

**„ნაგლი“ ინტერვიუ
კოზიცია („გულჩვილი ტერორისტი“)
კოლტერბეისტი, ავსული „ყაყას შპრება“
ასტროპრობნოზი და სხვა**

- საღა ხარ პალიკო, რატომ მიმატოვე?

„ერიპა, ვიფიქრე ჩემთვის, რავა „პრესტუჰნიკივით“ უკანკალებს ხმა...“ მერე ჩემივე აზრს აღვირი დავეუბოკლე და ვიზიტად მისვლას შევპირდი. იქვე ავკრიფე სხვა ნაცნობი ნომერი და ნაციხარ ექსგუბერნატორს შევეხმიანე. უმალ გავიგონე მისი ალგზნებული ხმა:

- როდის მოიცლი, ჩემო პალიკო, ჩემთვის?
მე მართლა ქვისა კი არა ვარ, მაგრად შემეცოლა სამშობლოს ექსმოლალატე და დავაიმედე, მალე გეწვევი-მეთქი. არა-და, რამდენად გავიჭრა-გავიხლიჩო აღარ ვიცი, ვერ გავწვდი ყველა ჩემს მოიმედეს...

რკინით შეჭვილი ფოლადის კარი გაიღო და ღრიტოში დავინახე ექსცეკასმდივანის ლოდინისგან დაოსებული ფიზიონომია.

- კიდევ კარგი, მოხვედი, ჩემო პალიკო, თორემ ცუდ დღეში ვიყავი.

- რა მოხდა, ჯემალ-ბატონო, გიჭკერენ?
- არა, დაჭერა რა შუაშია... ოჯახში სიცივით მკლავენ, უშენოდ ნავთქურას არ მინთებენ...

მე, ცხადია, მის წუწუნს ყურადღება არ მივაქციე და ეგრევე ვავახე:

- ნავთქურა კი არა, პირდაპირ მითხარით, ტერაქტი რა მონაწილეობას იღებდით. ხომ იცით, მე მიკიბულ-მოკიბული არ მიყვარს.

- რას ბრძანებ, ჩემო პალიკო, რა ტერაქტი, რის ტერაქტი... ხომ იცი, ამ ხმებს ვაი და უიპოლიტიკოსები რომ მივრცელებენ.

- თქვენ წინა ტერაქტის დროსაც ასე იმართლებდით თავს, ჯემალ-ბატონო. იცოდეთ, ჩემთან ეგეთები არ გაგივათ, მიწის გულში რაა, იმას ვხედავ...

- ვიცი, ჩემო პალიკო, ვიცი და იმიტომ ვემუდარები, ჩემს თავს ნუ დააჩაგვრინებ გაქსუებულ მოშურნეებს. ბოლოს და ბოლოს, ვისთვის რა დამიშავებია?...

- კაი კაი, თავს ნუ მოისაწყლებ, ნაცეკასმდივანო ჯემალ-ბატონო. დოდიკა ყაჭვიშვილი მე დავიჭირე, თუ თქვენ? რამდენი წელი აყურყუტეთ ციხეში?

- ციხეში ცოტა ხანს იყო... კოლონიაში მშვენიერი პირობები ჰქონდა, ბიბლიოთეკის გამგე იყო, რომანი დაწერა...

- სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ, თორემ ინტერვიუს შევწყვეტ... გამოტყდით: მართლა კომბინატორობდა დოდიკა, თუ კონკურენტი მოიშორეთ?...

- (დუმილი. სახეზე ასახული შინაგანი ტანჯვა) იცი, რა, ჩემო პალიკო, თუ შეიძლება ამ კითხვაზე არ გიპასუხებ...

- კარგი, ჯანდაბას... გირჩევთ გულწრფელად მიპასუხოთ ამ შეკითხვაზე: მართლა მიგაჩნიათ თავი პრეზიდენტობის ყველაზე უფრო შესაფერის კანდიდატურად?

- იცი, რა, ჩემო პალიკო: მე ჩამოვთლი ჩემს თვისებებს და მკითხველმა თვითონ განსაჯოს.
- რასა ბრძანებთ: ეგ

თვითრეკლამაა, მაგისთვის სოლიდური თანხა უნდა გადაუხადოთ გაზეთ „მიკიბულ-მოკიბულს“, „ტანც-გეურქას ღუქანში“ კი არა ვართ... ერთი ეს მითხარით, ექსდებუტატო ჯემალ ბატატუნაშვილო, პარლამენტარობის დროს იარაღს თუ ატარებდით? სანამ მიპასუხებდით. კარგად დაფიქრდით...

- იარაღს?! ჩემს ცხოვრებაში არ მიტარებია იარაღი!


- ჰე-ჰე... გულუბრყვილო რომ ვიყო, ჯემალ-ბიძია, მამა აბრამის ბატკანი, ან შვლის ნუკრია-თქო, დაწვერდი... კაი-კაი ნუ ნერვიულობთ. კიდევ ერთხელ გეკითხებით: საქვეყნოდ აცხადებთ, რომ ტერორისტი არა ხართ? კარგად დაფიქრდით, არ გაჩქარებთ!

- რა მაქვს დასაფიქრებელი, ჩემო შვილო, შვილის მაგიერო. არა ვარ ტერორისტი, არც ვყოფილვარ და არც ვიქნები... შენ თუ ეგ არ გჯერა, სხვაზე რაღა უნდა ვთქვა, ჩემო პალიკო.

ოთახში მაან „კსტატი“ შემოვიდა ჯემალ ივანიჩის მეუღლე, გამზადებული ტყვიასავით შეკითხვა პირზე შემაცვიდა. მასპინძელმა შევებით ამოისუნთქა და გახარებულმა ჩაის იმოდუნა ყლუპი მოსვა, კინაღამ დაიხრჩო. ქვეშეცნეულად ვიგრძენი, ცოლიც რომ კმაყოფილი დარჩა. ჩემდა უნებურად სიცილი წამსკდა. აფხუკუნდა ნაცეკასმდივანარიც და მისი თანამეცხედრეც.

საღამოს გულმა ორთაჭალისკენ გამიწია. კარგა ხანს ვიდექი ცნობილი ციხის წინ და ვცდილობდი გამომეცნო ის შეგისოსებული ფანჯარა, რომლის მიღმა შესაძლოა ახლო მომავალში ჩემი დღევანდელი მასპინძელი აღმოჩნდეს. მერე შინაგანი წარმოსახვით დავინახე როგორ წერდა იგი აღიარებას ტერაქტებში მონაწილეობის თაობაზე.

რატომღაც გამეცინა... მერე ცალ თვალზე ცრემლი მომადგა! ასეა ეს ცხოვრება, ერთი დრო არავის შერჩება!



კ უ -
დიანებს და
ავსულებს
ოდით განვე
სდევნიდნენ, თუ ადრე ამ
საქმეს მხოლოდ სასული-
ერო პირები მისდევდნენ, დღეს,
საბედნიეროდ, მეცნიერებამაც
გამოიღო ხელი.

ჩვენი სტუმარია ამ დარგის
გამოჩენილი სპეციალისტი,
საერთაშორისო კატეგორიის
ბიოენერგოკორექტორი, ბიოლოგიის
კოოპერატორი, წარმოშობით
მარკშიდერი იულონ ზოსიტაშვილი.

- ბ-ნო იულონ, რამდენჯერ განვიკურნავთ შეპყრობილი?
- თქვენ, ალბათ, გულისხმობთ სხეულიდან ეშმაკის განდევნას.
- სწორედაც.
- ვინ მოთვლის რამდენჯერ.
- აღწერეთ რომელიმე ტიპური შემთხვევა „მიკიბულ-მოკიბულის“ მეთხველისათვის.

- სიამოვნებით. ერთი სიმპათიური ქალბატონი მობრძანდა ჩემს კლინიკაში და განწირული ხმით შემომკვიდრა: მიშველეთ, შეპყრობილი ვარ და თავში სულ ცუდი აზრები მიტრიალებსო. მე არ დავიბენი, მყისვე შევიყვანე იგი ჩემს პოზიტიურ მინდორში და მასში ჩაბუდებული სატანა დუელში გამოვიწვიე. ჯერ გამიძალიანდა, მაგრამ მერე იკადრა ქალბატონის სხეულიდან ამობრძანება საინფორმაციო ღრუს გზით. გამოვარდა დაბჩენილი ხახიდან სიგარეტის ბურთისებური კვამლის სახით, ჯერ ჭერს ებგერა, მერე სარკეს, კედელს, ბუფეტს, და ბოლოს პარკეტს დაასკდა. როცა აღება დავაპირე, გამისხლტა, ჯინივით გაიზარდა, გაიშალა და საფრთხობელას დაემსგავსა. აბა, მე ხომ ვერ შემაშინებდა, ეგრევე ვებგერე! გამიძალიანდა, მაგრამ ფანჯარაში მოვისროლე! დავინახე, როგორ დაენარცხა ასფალტს და სული

- განუტევა!
- გვამი დარჩა?
 - რა გვამი?! ა, არა, საერთოდ გაქრა.
 - ბ-ნო იულონ, პირიდან რატომ ამოუვიდა, სხვა ღრუდან არ შეიძლება? ვთქვათ, ყურიდან?
 - საქმე ის გახლავთ, რომ უწმინდურს უწმინდურ გარემოში უყვარს ყოფნა... ჰო, ფანჯრიდან რომ გადავაგდე, ცუდად ვიგრძენი თავი,

არული კუდიანებს!

ტანზე ბალანი ამებურძგლა და კულუსუნი ამეკავა. შხაპა მიშველა - წამსვე აბაზანაში შევედი და დიდხანს ვიდექი შხაპქვეშ.

- ცივი შხაპი მიიღეთ?
- რატომ ცივი, ცხელი.
- ცხელი წყალი გაქვთ?
- ძველი ამბავი, „ზასტოის“ დამპალი



- პერიოდის.
- პოლტერგეისტი თუ გინახავთ?
 - რამდენიც გინდა.

„პოლტერგეისტი“ ხომ მოხეტიალე სულს ნიშნავს. ერთ ჩემს ნაცნობ ოჯახს შეუჩნდა, ხან ~~ჭერს~~ დაუღეწა, ხან ~~ტელეკინეზიკი~~ გაუფუჭა, საჭმელ-სასმელს ხომ მუხრი გაავლო.

- რითი მიერთმევს საჭმელს?!
- აქვს მაგისთვის უხილავი ორგანოები. ერთხელ შევესწარი, როგორ შეთქვლიფა ახალგამომცვარი კეება ტორტი და იქვე, პარკეტზე, უნამუსოდ ქნა ყაყა.

- კარვით, რა ბ-ნო იულონ!
- აბა? სინდისგარეცხილები არიან!
- ბ-ნო იულონ, მაგათ ვერავინ ხედავს და თქვენ როგორ ახერხებთ?
- მაგაზე ადვილი რაა: საინფორმაციო მინდორში გასვლის ტექნიკას უნდა ფლობდე. ერთხელ მთელი თვე დავეყვობდი ჩემს პაციენტს სახლიდან სამსახურში, სამსახურიდან-სახლში და ვხედავდი, როგორ ეჯდა მხარზე ეშმაკი და კუდს აქიცინებდა. იცოდა, რომ ვხედავდი და ვერ მიტანდა დასანახავად. სხვათაშორის, იგი ჩემი პაციენტის ბიოლოკატორული ენერგობლოკით იკვებებოდა.

- უშველეთ, ბ-ნო იულონ?
- აბა რას ვიზამდი - შევიყვანე ჩემს ენერგოსისტემაში და დედა ვუტირე - სულ კისრისტეხით გადაიხვეწა!

- ბ-ნო იულონ, მაგ თქვენი ენერგობლოკით იქნებ ჩვენს ენერგოკრიზისს უშველოთ რამე, თორემ არცერთი ბლოკი არ შვრება ხეირს: არც პირველი, არც მეცხრე და არც მეთათე...

- სხვათაშორის, ვფიქრობ მაგ პრობლემაზე, აუცილებლად მიმაჩნია საქართველოს ენერგოსისტემის გაწმენდა ავსულებისა და კუდიანებისაგან. უსათუოდ მივხედავ!

- არული კუდიანებს, ბ-ნო იულონ!
- ამინ!

ესაუბრა
გულო მოსიაშვილი

რა გვჭირს?!

სატანამ თვალი დაგვადგა
მსხვერპლი ვართ მისი კლანჭის.
რატომ შემოგვწყნრა უფალი,
რა დაგვემართა, რა გვჭირს?!

აფხაზეთი და ცხინვალი,
ჯერი ხომ არ დგას რაჭის?
ყველამ ჩვენ როგორ გვაჯობა,
რამ დაგვაღაჩრა, რა გვჭირს?!

მახვილი დაგვჩლუნგებია,
პერანგიც გაცვდა ჯაჭვის...
ყელს ვჭრით მარჩენალ ლაბა ხარს,
რამ დაგვაბრძოვა, რა გვჭირს?!


თავი რომ გმირი გვეგონა -
სული გვექონია ვაჭრის!
დაუნდობლად ვჭამთ ერთმანეთს,
რამ გაგვაცოფა, რა გვჭირს?!

ნამუსის ქუდი დავეარგეთ,
ქვეყანა დარჩა კვაჭის...
სხვებს ნულარაფერს ვაბრალებთ -
ჩვენი ბრალია, რაც გვჭირს!

ურნაუნო თოვას

მეც მღლის ცხოვრების კორიანტელი
მაგრამ იმედი მაინც ფოფინობს.
შენ კი რომ ხედავ - მოდის ნათელი.
ისევ ქართველობს ნალდი ქართველი -
სწორედ ამით ხარ უკმაყოფილო!
არც დიდი მოგწონს და არც პატარა.
სულ ეძებ, ვის და რა დაუნუნო!
კაცმა ჯოჯოხეთს გამოგატარა,
ღვინით აგივსო ისევ მათარა,
შენ - თომასავით დარჩი ურწმუნო!
ბუმერანგს ჰგავხარ, უგზოდ გაფრენილს,
კარგიც კი არ გნამს ერის შვილების!
შუბლზე გატყვია ეშმას ნარქენი,
ყველაფერს ხვდები ხელის ჩაქნევით
და იქედნური ჩაქირქილებით.
გსურს აღზევება ნაძირალების,
მას აქებ, რაიც დასაგმობია!
შენ გენატრება კარვის ქალები,
გულისამრევი მადრიგალები,
ქუჩის ვაშა და მიტინგობია!
სიმართლე ზოგჯერ ძალზე მწარეა -
შენ მტყუანი ხარ უფლის წინაშე!
ჩვენ კი, დარევა თუ ავდარია,
გიხარია თუ არ გიხარია,
მაინც წინ ვივლით მტრების ჯინაზე!

ზადენ ზედანი



რუსეთმა გიორგაძე არ დაგვიბრუნა და აფხაზეთს
დაგვიბრუნებს?!

თემა მ.აბაშიძისა, ნახ. ა.პრაძისა



მითხარი და გეტყვი!...

მითხარი, ცაცია თუა შენი მასწავლებელი და გეტყვი, რატომ
გეზრდება მარჯვენა ყური!

მითხარი, ვინა გყავს სიმამრი და გეტყვი, როდის იყიდი
„მერსედესს“!

მითხარი, რას აკეთებ და გეტყვი, რამდენს აკეთებ!

მითხარი, ვინა რეჟისორი და გეტყვი, ვინ იქნება სცენარის
თანაავტორი!

მითხარი, ვინა გყავს მოადგილე და გეტყვი, რამდენ ხანს
იქნები რედაქტორად!

მითხარი რას ამბობს ამინდის ბიურო და ვერ გეტყვი, როგორი
ამინდი იქნება ზვალ!

არ მითხრა, ვინა უკბილო და გეტყვი, რომ ისაა კრიტიკოსი!

რჩევა-დარიგება ზოგიერთ კოლეგას

წერე მხოლოდ გაზეთისათვის, იგი ჟურნალზე ადვილად იხევს!
წერე თანაავტორთან ერთად, გადასაბრალებლად მაინც
გამოვადგება!

გაუფრთხილდი სახელს - ამისათვის არსებობს ფსევდონიმი!

პონორარი სიყვარულსა ჰგავს. სიყვარულს კი ძალვა უნდა!

თავიდანვე შეურიგდი აზრს, რომ ბოლოს რომანისტი გახდები!

იფიქრე რედაქტორობაზე, ოღონდ ჩუმად!

გახსოვდეს, რომ არის შემთხვევები, როცა რედაქტორი

ჟურნალისტიცაა!

არლი თაყაიშვილი



- რაო, რამდენი მოგცა ამ კლიენტმა?
- იქით მივეცი, გოგო, მაკონტროლებელი ორგანოღანაა!

თემა და ნახ. ვ.პ.შვიტასი

- არ მინდა გაცილება, ნუ შეწუხდებით, - სთხოვა ზღურბლზე
შეჩერებულმა სტუმარმა მასპინძელს.
- რას ბრძანებთ, - გაუღიმა მასპინძელმა, - სტუმრების
გაცილება მუდამ უდიდეს სიაშოვნებას მანიჭებს.

- რის გაკეთება შეგიძლიათ? - ჰკითხა ფირმის შეფმა.
- არაფრის.
- სამწუხაროდ, არაფრისმკეთებელთა ადგილები უკვე
დაკავებულია.

- ცოლი საექიმო სასწორზე შედგა.
- რამდენია? - ეკითხება ქმარი. - ნორმაზე მეტი ხარ?
- არა, - ამბობს ქალი. - თუ ცხრილს
დაკუჯერებთ, უბრალოდ
თხუთმეტოდე სანტიმეტრით
მალალი უნდა ვიყო.

ერთი ქალიშვილი მეორეს უმტკიცებს:
- ქორწინება უდაბნოში დანახულ მირაჟს ჰგავს - თავისი
სასახლით, პალმებითა და აქლემებით. მერე
სასახლე ქრება, მას პალმებიც მიჰყვება
და ერთადერთი აქლემის ამარა
რჩები.

ანაკდოტები

- ჩემო ძვირფასო, როგორი
ქალები გიყვარს - ჰკვიანები თუ
ლამაზები?
- არც ერთი და არც მეორე, - მიუგო ქმარმა. - ხომ
იცი, რომ მარტო შენ მიყვარხარ!

- რა გემრიელი სოკოა! -
ამბობს კმაყოფილი ქმარი. სად
ამოიკითხე ეს რეცეპტი?
- ერთ დეტექტიურ რომანში, - მიუგო
ცოლმა, - რომელიღაც მილიონერი მოწამლა
საკუთარმა ცოლმა...

ავტობუსიდან ჩასვლისას მგზავრმა მძღოლს მუდმივი
სამგზავრო ბილეთი უჩვენა.
- ეს რა არის?! - აღშფოთდა მძღოლი. ეს ხომ მოსწავლის
სამგზავრო ბილეთია! ასეთებს მეხუთე კლასელებს აძლევენ!
- ჰოდა, ახლა ხომ ხვდები, რამდენ ხანს ველოდე შენს
წყვეულ ავტობუსს?

ცოლ-ქმარი სტუმრად წასასვლელად ემზადება.
- რას მირჩევ, - ეკითხება ქმარი, - რომელი პერანგი
ჩავიცვა - ღილებაცხვეტილი თუ მეორე, ჭუჭყიანი საყელო
რომ აქვს?

- მე ვიცი რომ დელიკომ გამაჩინა, - ეუბნება 5 წლის ნინიკო
მამას. - შენ რაღას აკეთებდი?

- მომილოცნია, - ეუბნება მეგობარი მეგობარს, - ცოლს
შერიგებისარ: გუშინ დაგინახეთ - შეშას ხერხავლით
ბირდაბირით.
- ეჰ, ჩემო კარგო, შეშას კი არ ვხერხავლით, ავეჯს
ვიყოფდით...

ახალგაზრდა ქალი სამსახურს ეძებს.

შეკრიბა ზედან ზადენიამ

“ნიანგის” მინი-ინტერვიუ

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრის მოადგილესთან
დემურ მიქაქაშთან



კითხვა: - ვიდრე ხუმრობაზე გადავიდოდეთ. სერიოზულად მიპასუხეთ: რას ფიქრობთ “ნიანგის” წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე?

პასუხი: - დღეს პრესა თავისუფალია. წერე-ბეჭდვით და იკითხე. რაც გაგიხარდება; სულ ახლო წარსულში კი „ნიანგი“ იყო ერთადერთი სატირულ-იუმორისტული ჟურნალი საქართველოში, რომელიც შეძლებისდაგვარად ებრძოდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს. „ნიანგს“ ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს. რომელიც უნდა გამოიყენოს და გაამდიდროს ახალ, დემოკრატიის მშენებლობის ვითარებაში.

კითხვა: - შეგიძლიათ თუ არა ურთიერთობა ადამიანთან. რომელსაც არა აქვს იუმორის გრძნობა?

პასუხი: - თუ სამსახურებრივი საქმიანობა მაკავშირებს, რა გაეწყობა! მეგობრობა არა!

კითხვა: - საჭიროა თუ არა იუმორი კრიტიკულ სიტუაციებში?

პასუხი: - ვფიქრობ, აუცილებელია. მაგონდება ასეთი შემთხვევა: პარტიის ცეკას ბიუროზე მაშინდელმა პირველმა მდივანმა ერთ მინისტრს მიმართა: არის აზრი თქვენი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და რას იტყვითო. მინისტრი წამოდგა და აღელვებულმა უპასუხა: ჩემს ნუგზარიკოს გეფიცებით, ძალიან ცუდი აზრი გაგჩენიათო! ცეკას მდივანს სიცილი აუტყდა და ცხადია, მთელი ბიურო ახარხარდა. მინისტრი

თანამდებობაზე დატოვებს.

კითხვა: - ნუთუ მინისტრმა ხუმრობით დაიფიცა შვილი?

პასუხი: - არა მგონია. მაგრამ როგორც ამბობენ დამსწრეებმა ასე აღიქვეს.

კითხვა: - როგორ გგონიათ. გადარჩება თუ არა „ნიანგი“?

პასუხი: - ეჭვი არ მეპარება, რომ გადარჩება. ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ და იმ ცნობილი ჩანგლის გაღვსვაში მივეხმაროთ. მარტო კბილების იმედით რომ არ იყოს.

კითხვა: - ახლა მართლაც ხუმრობაზე ხომ არ გადავიდეთ?


პასუხი: - იცით. რას გეტყვით? მოდით, ხუმრობა შემდეგისთვის გადავდოთ. ამჯერად მთელი სერიოზულობით ჩავუღრმავდეთ შექმნილ სიტუაციას.

„ნიანგი“ — დიდი მადლობა პატარა ინტერვიუსათვის.

„ნიანგის“ დავალებით ესაუბრა
ნანა ჯაჯანაშვილი





საქართველო
საზოგადოებრივი



ნახატი - სუმრობები

ჯეჟალ ლოლესი

20983



ინტელექტუალური
პროგრესი



tm
209

საქართველოს
მემორიალი
საქართველოს

განხეთქილების განმეობრობა

მართლმსაჯულების კარსმიმდგარ სიმართლის-
მაძიებელს რომ რკინის ჯოხი უნდა ეკავოს და
რკინისავე ქალამანი ეცვას, მკითხველს კარგად მო-
ეხსენება. გაიხსენეთ ბალზაკის პოლკოვნიკი შაბე-
რი, რომელიც კაზუისტიკაში ჩაფლულ საფრანგე-
თის იუსტიციას ამაოდ უმტკიცებდა, რომ იგი ნამ-
დვილად პოლკოვნიკი შაბერი იყო...

მსგავს ტრაგი-კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა
შპს „სამეგობრო“, რომელსაც ყველა უდასტურებს
თავის სიმართლეს, ხოლო დაპირებანი საბოლოოდ
მიზანმიუღწეველი რჩება. ამასობაში კი წლები აი-
კინდა...

როცა საბჭოთა სივრცე ირღვეოდა,
სხვებზე მეტად მარჯვეებმა საერთო-
სახალხო დოვლათად წოდებული სახელ-
მწიფო ქონების დატაცება დაიწყეს და
ნინიას ღუქანივით გამოიყენეს საბჭოთა
ხელისუფლების უკანასკნელი რაუნდი. ნა-
ოხრად იქცა წლობით ნალოლიავეები ფაბ-
რიკა-ქარხნები, ზვარ-ვენახები, თუ ხილის
ბაღები. ასე მოხდა გორშიც – მოუვლე-
ლობის გამო თითქმის მთლიანად გადახმა და თვა-
ლუწვდენელ სასაფლაოებს დაემსგავსა მისი სა-
ხელგანთქმული ვაშლის ბაღები. ცხადია, გაჩერდა
ხილის გადამამუშავებელი ქარხნებიც.



ამ ფონზე იმედის სხივად გამოჩნდა შპს „სამე-
გობრო“, რომელმაც გერმანულ ფირმასთან ერთად
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების
მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის
31 დეკემბრის გადაწყვეტილებით 20 წლით იჯა-
რით აიღო 800 ჰექტარი ხეხილის ბაღები (შინდისის,
ვარიანის, შავშვებისა და ზერტის საზოგადოებრივ
მეურნეობათა ტერიტორიიდან) და დაამონტაჟა ვაშ-
ლის კონცენტრატის მისაღები უცხოური ტექნო-
ლოგიური ხაზი. ბევრს არ სჯეროდა, რომ განად-
გურების პირას მისული ბაღების აღდგენა შესაძ-
ლებელი იყო, მაგრამ როგორც ჩანს „სამეგობრომ“
შეუძლებელი შეძლო, თუმცა...

სოფელ ზერტის მცხოვრებთა ნაწილი, საკარმი-
დამო ნაკვეთების მაქსიმალური ნორმის შევსების
საბაბით აგროფირმა „ზერტის“ ეგიდით თვითნებუ-
რად დაესაკუთრა აწ უკვე კანონიერი მფლობელის
– „სამეგობროს“ კუთვნილ 175 ჰექტარ ხეხილის
ბაღებს, რომელთა აღსადგენად ფირმამ სოლიდური
თანხა დახარჯა და უზარმაზარი შრომაც გასწია.
მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. შპს „სამეგობ-
რომ“ ვინდა არ „შეაწუხა“, ვის არ მიაკითხა სი-
მართლის გასარკვევად, მაგრამ ამაოდ. საქმის კა-
ნონიერად გადაწყვეტა კი ვერც ადგილობრივ და
ვერც რესპუბლიკურ ინსტანციებში ვერ მოხერხ-
და. „გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნი-
თო“ – გულკეთილად ექილიკებოდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ „ზერტის“
დღემდე სახელმწიფოსი მართებს 51538
ლარი, ხოლო „სამეგობრომ“ მარტო 1995
წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 69000 ლა-
რი შეიტანა.

მართონი დღესაც გრძელდება, ქსე-
როასლებითა და მათს სასარგებლოდ ოფი-
ციალური ორგანოებიდან გამოგზავნილი პასუხე-
ბით ამაოდ დაიარებიან „სამეგობროელები“ სხვა-
დასხვა დაწესებულებებში. ქალამნებისა რა მოგახ-
სენოთ, მაგრამ ნერვები ნაღდად რკინისა ჰქონიათ.
დიოგენივით დღის სინათლეზე სამართალს ეძებენ.
ყველაფერი კი სწორედ დღესავით ნათელია: თუ
კანონი კანონობს, ის 175 ჰექტარი ბაღები, რომლე-
ბიც ოდესღაც ზერტის კოლმეურნეობას ეკუთვნო-
და, ახლა განა „სამეგობროს“ კუთვნილებას არ
წარმოადგენს? თუ ადამიანის უფლებებს ხელისუ-
ფალნი არ დაიცავენ და მარტოოდენ საარჩევნო
დაპირებებით შემოიფარგლებიან, კარგად გვქონია
საქმე!..

ვაჟა შაქარაშვილი
„ნიანგის“ შიდა ქართლის
ზონის კორესპონდენტი



- ბაბუ! ეკ, ნეტავი შენოდენა ვიყო, რომ აფხაზეთის
ლაბრუნებას მოვესწრო!

თემა ჟსინხარულიძისა
ნახ. ლ.ვარმიშვილისა



(კვირის საინტერესო გადაცემები)

ყოველდღე. 7 ს. 30 წ. "ყალიონი" - მათთვის,
ვისაც უნდა სიგარეტს გადაეჩვიოს.

პარასკევობით. დაახლ. 22 ს. "ექიმის მოსვლამდე...
არაფერი გეტყინოთ" - თანამედროვე დალოცვის
შემსწავლელთათვის.

ყოველდღე. 20 ს. 15 წ. "ზრასტი, ბაბუ!" -
ზრდილობის კურსები.

დილაობით. "აი, რობიკა!" - რეჟისორის
პორტრეტი.

შაბათობით. მღერის ანსამბლი "ქართველო,
ხმები!

სალამობით. "აჩი, კუდა?!" - ფეხბურთელების
მიგრაციაზე.

ყოველდღე. 10 ს. 20 წ. "ეს მეორე მარხია!" -
არქეოლოგიური ძიებანი.

დღეგამოშვებით. "50X50" - გამრავლების
ტაბულა დიდებისათვის.

დღეგამოშვებით. 19 ს. 20 წ. სტუდია "თარსი",


თითქმის ყოველდღე. "დედა,
ქალაქი!" - სოფლიდან პირველად
ჩამოსულთათვის.

ყოველდღე. 21 ს. 30 წ. სტუდია "გაუტიენცია".

კვირაობით. 20 ს. 00 წ. "რა სად მოდის". -
სააგარაკო ნაკვეთის მფლობელ მოქალაქეთათვის.

ორშაბათობით. "მოსკოვი-
თბილისი" - მატარებლით
მგზავრობის პრობლემებზე.

იმ საუკუნის ბოლომდე. 21 ს. 30 წ. სერიალი
"გველური სული".





- არა, ჩვენში გვერდებიან დაბრძანდებით, აკადემიკოსებს მოპირდაპირე მხარეს სხედან.



თემა და ნახ. აბაზაშვილისა


„რატომ არღვევ, გენაცვალე?“ (ქუთაისური დიალოგი)

- გააჩერე! ინსპექტორი ვაშაყიძე!
- მძლოლი თამუ სანიკიძე! სალაპარაკოდ არ მცალია, მანიკიურზე რიგე მაქვს დაკავებული.
- რომ გამოკიმი ულხარ მაგ მერსედესში, ქალიშვილო, რატომ არღვევ მოძრაობის წესებს?
- ჯერ — ერთი, ეს „მერსედესი“ შენი ნაყიდი არაა, მამაჩემმა კოტეიამ მიყიდა, მეორეც ის, რომ ქალიშვილი ვარ, თუ ნესტანის ბარდელის ბოზი არც მაგია შენი გადასაწყვეტი. მესამეც კილო: არაფერი წესი მე არ და მირღვევია.
- ჩემი თვალთ დევინახე! წარმოადგინეთ საბუთები!
- არ შემოძლია.
- რას ჭკია: „არ შემოძლია“?!
- ჯერ ერთი, მეჩქარება-თქვა, გითხარი, მეორეც ის, რომ რატომ უნდა ვაჩვენო საბუთები ვილაღ უცნობ მამაკაცს?
- მე უცნობი მამაკაცი კი არაა, სავალო პოლიციის ინსპექტორი მურთაზ ვაშაყიძე გახლავართ!
- ასე მეც გეტყოდი კლაუდია შიფერი ვარ-თქვა და ხმასაც ვერ გამცემ-ლი.
- ფორმა რომ მაცვია, ვერ ხედავ?
- დღეს, ჩემო ძამიკო, ინსპექტორის ფორმას კი არაა, „სუ-27“-ს იშოვი, ფული თუ გაქვს.
- მოწმობა ხომ არ გაჩვენო?
- აბა, არა? მანახე!... კი მაგრამ „ვაშაყიძე“ ვარო, რომ განაცხადე? დაავიერი, აქ რა წერია.
- კი, ასოა შეშლილი, „შ“ „ბ“-ს გავს და „ვაშაყიძე“ გამოდის.
- კაი, ჩემო ძამიკო, მაგას არ გამოვეკიდები. ვთქვათ, ნამდვილად ვაშაყიძე ხარ, მურთაზი, მარა აგი ფოტოსურათი რომ შენ არ გგავს?
- ქული არ მახურავს და იმიტომ.
- მერე? ქულის მოხდას რა უნდა? მეცხადე და დაღეჭი სწორად, ვითომ გიღებენ... მასე, პო... არა, რალაცა მსგავსება არის, მაგრამ...
- ათი წლის წინაა გადაღებული.
- მერე? აქამდე არ უნდა შეგეცვალა?
- მომეცი მოწმობა!
- თუ გგონია, რომ შენი სურათისათვის ვეცილები. ხომ გითხარი, მეჩქარება-მეთქი, მანიკურზე რიგე მაქვს დაკავებული. იმ დღეს ხუთი წუთი დამაგვიანდა და მაქყანის როგენდამ დამასწრო...
- მომეცი მოწმობა! შეხედე, რამდენი მანქანა ჩამწყვილდა! სამი ქუჩა ჩაიხერგა!
- მერე? მე გაგაჩერე შენ, თუ შენ მე? ვისი ბრალია?
- კაი, ჩემი დაიკო, იყოს ჩემი ბრალი, ოღონდაც მაგ საბუთი დამიბრუნე!
- კაი, პო, მოგცემ. ა, გამომართვი სხვა დროს ასე იოლად ვერ გადარჩები! კარგად იყავი!
- სურათის გამოცვლა მოწმობაში არ დაგავიწყდეს!
- კარგად! დიდი მადლობა!



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

რუსულიდან გადმოაქუთაისურა ლერი სიმონიშვილმა




ფსიქოლოგიურ- პრაგმატული ტესტი

როგორი ტემპერამენტი გაქვთ? მშვიდი, თუ ფიცხი?

- როცა მარცხენა ყბაში გაგარტყამენ:
 - ყურადღებას არ მივაქცევ
 - მარჯვენა ყბას მივუშვერ
 - ორივე ყბაში ვღეწავ
- როცა დედას შეგაგინებენ:
 - გავიცინებ
 - ვეტყვი: „გმადლობთ“
 - გადავუვლი მის ყველა ნათესავსა და ახლობელს
- როცა მანქანას მოგპარავენ:
 - იტყვი: „კიდევ კარგი, შიგ არ ვიჯექი!“
 - იტყვი: „ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს“
 - იმწამსვე დედისგინებით გავარლებით „შაგებთან“
- როცა მეზობლისგან ჩამოსული წყალი რემონტს გაგიონრებს
 - იფიქრებთ: „პარკეტი აყვებოდა საცოდავს“
 - იფიქრებთ: „არ შეიტყოს, რომ ჩამოვიდა, თორემ ძალიან შეწუხდება“
 - გამწარებული ავარდებით და რემონტის გაკეთებას მოსთხოვთ.
- როცა ნარკომანი შვილი წამლის საყიდელ ფულს მოგთხოვთ აშკარად
 - დაუყოვნებლივ მისცემთ ფულს
 - გაიქცევით, უყიდით და მოუტანთ
 - ჯერ სამი თითის კომბინაციას უჩვენებთ, მერე ცხვირში ლეწავთ და სახლიდან გააგდებთ.

ყურადღებით შეისწავლეთ ვარიანტები, დაფიქსირდით და ისე შემოხაზეთ. თუ ა) და ბ) ვარიანტები დაგიგროვდათ, თქვენ ზედმიწევნით მშვიდი და კეთილი ბრძანდებით. თუ კი გ) ვარიანტები მოჭარბდა, ფრიად საშიში, ფიცხი და დაუოკებელი ბუნებისა ბრძანდებით.

ტესტი შემუშავდა ფსიქოლოგიური კვლევის ინტერსუბიექტურ ცენტრში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



- როგორ შეცვლილხარ კაცო, ოცი წელია არ მინახავხარ, კოსტიუმით გიცანი!
თემა ს.წამრთილისა, ნახ. ჯ.ლოლუასი

ჩვენი სამზარეულო უამფური

შამფური, როგორც წესი, მოინმარება გასაყრელად და შესაწავად, არაჩვეულებრივად გემრიელია შამფურზე შემწვარი წიწილა, გოჭი, სულგუნი, თართი, თიკანი, ბატკანი, გარეული ტახი, ხოხობი, ბატი, ინდაური და სხვა...

თუ შამფურზე წამოსაცმელი და შესაწავი არაფერი გვაქვს, ჯობს იგი გავიყაროთ ჩვენი ორგანიზმის საყოველთაოდ ცნობილ ადგილას.

„პირის გემოს“ შემსწავლელი აკადემიის პრეზიდენტი - ლუარსაბ თათქარიძე



-ბედი არ მწყალობს ჩემო კირილე, ამდენი მრავალმარღვა მაქვს ეზოში და ერთი ძირმაგარა არ ამომივიდა!

თემა და ნახ. ლ. შარეიშვილისა

წაროდის

როდესაც ასე ახლოა გემი ...

როდესაც ასე ახლოა გრემი
მე მინდა ვიყო უფრო მაღალი.
ოთარ ჭილაძე

როდესაც ასე ახლოა გემი
ჰუმანიტარულ უცხო ტვირთებით,
უფრო მაღლდება სამშობლო ჩემი,
განვითარებად ქვეყნად ვითვლებით.
და სხვისი ფქვილით იკვრება შოთი,
მზადდება ტორტი, კეთდება კრემი,
როდესაც ასე ახლოა ფოთი,
როდესაც ასე ახლოა გემი.
მიდის ცხოვრება უაზრო თვლემით
და სხვისი ფქვილით ტხვება ნამცხვარი,
როდესაც ასე ახლოა გემი,
მე მინდა ვიყო უფრო მაღლარი.
დავკარგეთ მიწა და თვით ღირსება,
ლამის დავკარგოთ ვარძია, გრემი
და ბიზნესმენთა ჯიბე ივსება,
როდესაც ასე ახლოა გემი.
„მდგომარეობა სტაბილურია“ -
ასე ცხადდება დაფდაფის ცემით,
მაგრამ სიცოცხლე დებილურია,
როდესაც გვკვებავს ვილაციის გემი.

სტივანე მხარბრაქელი

გაკომისიავეხული

მინისძვრამ რომ დაგვანგრია
სწორი იყო რამდენად?
გამოიყო კომისია
ამ სისწორის დამდგენად.
მინაში რომ კარტოფილი
დალპა, ბრალი რისია?
მაგ პრობლემას ხუთი თვეა
იკვლევს ქვეკომისია.
აფხაზეთი. სამაჩაბლო,
ჩვენია. თუ სხვისია?
ვინც ვერ მიხვდა, მოახსენებს
„ესენგეს“ კომისია.
ვერ გავიგე ამ ახალი
კომისიის მისია,
პარალელურს დაუმატეს
ზე-და ქვეკომისია.
რაფრა უძლებს ამდენ სხდომას
ზე-ტვინი და ქვე-გული.
ან დავშთები ზე- და ქვე-გა-
კომისიავეხული.

ალექსი ბოლქვაძე



- როგორ გაყვა ამ ჩერჩეტს ეს მშენიერი ქალი?
- რატომ არ გაყვებოდა, ქა, „დევიოკი“ ჰქონია სახლში.

თემა და ნახ. აპრაძისა

აკულ-ფარაჯი

(XIII საუკუნე)

მოკრძალებული თხოვნა

ერთმა უცნაურმა კაცმა თვალები ზეცას მიაპყრო და ლოცვას შეუდგა: - ო, ღმერთო, მომეცი ათასი თუმანი და სიტყვას გაძლე, რომ ას თუმანს ღარიბ-ღატაკებს დაუფრიებ:

ღიღხანს ელოდა იგი ღვთის წყალობას, მაგრამ როცა დარწმუნდა ლოდინის ამაოებაში, ახლა ასე მიმართა მას: - ო, ღმერთო, რადგან შენ ჩემი არა გვერა, მაშინ ცხრაასი თუმანი მე მომეცი და ასი კიდე შენ თვითონ მიეცი იმას, ვისთვისაც გაგმეტება.

ვირბა რომ არ იცოდეს

ბატონი თავის ვირს გაუბრაზდა და დაიფიცა, რომ შვრიას აღარ აჭმევდა. დადგა საღამო, ბატონს შეეცოდა საწყალი ცხოველი. მაშინ მან თავის შვილს დაუძახა:

- ჩაუყარე ვირს შვრია, ოღონდ არ უთხრა, რომ მე გთხოვე.

სამართლიანი საყვედური

წმინდა მამამ თავის პატარა ბიჭს წითელი შლიაა დაახურა, მხრებზე შემოისვა და წაივდა ეკლესიაში. ეკლესიის ეზოში მამა საქმით გაერთო და ბოლოს თავისი შვილი მოაგონდა. აქეთ მოიხედა, იქით მიიხედა, მაგრამ ვერსად შენიშნა. მერე ხალხს მიმართა, სადმე ხომ არ შეგხვედრიათ პატარა წითელშლიააიანი ბიჭუნაო. მას უთხრეს, რომ შვილი მხრებზე ეჯდა. მამა გაბრაზდა, ბიჭი მხრებიდან ჩამოსვა და რამდენჯერაც წამოართყა, იმდენჯერ დააყოლა:

- რამდენჯერ უნდა გითხრა, შორს არ წახვიდე-მეთქი.

ძალღები წმინდანის წერილს ვერ გაიგებენ!

მამა შვილს ასწავლიდა:

- თუ ძაღლები დაგესხნენ თავს, უყვირე მათ ოცჯერ ზედიზედ წმინდანის წერილიდან: „ღმერთო. იხსენი ჩემი სული ხანჯლისა და ავი ძაღლებისაგან“.

მისმა ამხანაგმა კი სულ სხვანაირად დაარია შვილი:

- უკეთესია აილო დიდი ჯოხი, ვინაიდან ძაღლები წმინდანის წერილს ვერ გაიგებენ, ან რა - განა შენ კი არ იცი, რომ ისინი ამ წერილს არასოდეს კითხულობენ?

ცნობისმოყვარეობა

ერთი თვინიერი კაცი თავის მეზობელს ეუბნება:

- წუხელის სიზმარი ვნახე, ვითომ ექიმი შენ გელაპარაკებოდა და მე კიდე მცურებდა, მითხარი, გეთაყვა, რას გელაპარაკებოდა იგი ჩემს შესახებ?

გულგაპიწყვი მამა

ერთ კაცს შეეკითხნენ:

- რამდენი წლისაა შენი ქალიშვილი?

- არ ვიცი, - უპასუხა მან. - მახსოვს მხოლოდ ის, რომ მისი დაბადების დღე აყვავდა ტევა.

გაჭიანურება

მოსამართლეს სთხოვეს ერთი ადამიანის შეწყნარება. მან უპასუხა:

- მე იმას ციხიდან არ გამოკავებინებ მანამდე, სანამ თვითონ არ მოვა ჩემთან, ფეხებში არ ჩამივარდება და თვითონვე არ მთხოვს გაშვებას.

ბრძნული გაყიდვა

სულელმა ამხანაგთან ერთად სახლი ააშენა ორევესათვის. რაღაც მიზეზის გამო სულელმა მოინდომა თავისი ნახევრის გაყიდვა. ხალხს გაუკვირდა და სულელმაც აუხსენებდა შემთხვევითი საქციელი.

- მე მინდა ჩემი ნახევარი გაყვილო, რათა აღებული ფულით ვიყიდო ამ სახლის მეორე ნახევარიც. მაშინ მთელი სახლი ჩემი იქნება.

ღმერთი არც თუ ისე ბრძნული

მშვიერი ჭკუნაკლული ასე მიმართავდა ღმერთს:

- შენ გაქებენ და გადიდებენ შენი ძალისა და სიბრძნისათვის. თუ ასეთი ბრძენი ხარ, მაშინ ნახევარზე მეტ ხალხს, რომელიც შენი შექმნილია, რატომღა აშიშვლებ? თუ ძალა არ შეგწევდა მათი რჩენისა, მაშინ რატომღა შექმენი ისინი?

ტყუილად მოსულხარო!




ერთხელ ღამით ღარიბის ქონში ქურდები შეიპარნენ. ისინი ღიღხანს ეძებდნენ, ყველა კუთხე-კუნჭული გადაიხრიეს, რომ რაიმე მაინც ეპოვათ, მაგრამ ვერაფერი ნახეს.

შემთხვევით გააღვიძეს პატრონი. მან თვალები მოიფშვინტა, დანახა ქურდები და უთხრა:

- ის, რასაც თქვენ ეძებთ, მე მთელი დღე ვეძებდი, მაგრამ უშედეგოდ. თქვენ კი შუაღამისას გინდათ მისი პოვნა?

გაუბონარი მუნჯი



ერთ სახლში სამი მუნჯი ცხოვრობდა. ყოველ-ღლიურად დებდნენ ფულს საჭმლისა და ბინის გასანათებელი სანთლის საყიდლად.

ერთხელ ერთ-ერთ მათგანს ფული არ ეყო მისი წილი სანთლის შესაძენად. მაშინ ორმა ამხანაგმა თვალები აუხვია მას და მხოლოდ მაშინღა მოხსნეს, როდესაც სინათლე ჩააქრეს და დაწვენ დასაძინებლად.



ჟურნალი „ნიანაი“, №2 (1897)
აპრილი, 1998 წ.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან

მთავარი რედაქტორი ბეჰან სინხარულიძე

სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახტანგ დონხაძე (ტექნიკური რედაქტორი), ჯემალ ლოლუა (მხატვარი-რედაქტორი). რევაზ მიშველაძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ლერი ჩანტლაძე (ლიტერატურული რედაქტორი) ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ნივნივაძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.04.98; ფორმატი 60X84 1/8; სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 2; შეკვ. № 422; ტირაჟი 5000; გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ; რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ; რეგისტრაციის №4/4—1263.

რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი — 8; რუსთაველის პროსპექტი №42.

ტელეფონები: 93-19-42, 99-55-54, 93-49-32.

ინდექსი 76137

ფასი 60 თეთრი



ჩემი დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავად ვაცხადებ

საყოველთაო კონკურსს საუკეთესო „სანიანგო“ (ე.ი. სატირულ-იუმორისტული) ნაწარმოებისათვის ჟანრების მიხედვით: პროზა-პოეზია, ნახატი-კარიკატურა, თემა.

ჩემი შეჭირვებული მდგომარეობის გათვალისწინებით ვაწესებ სამ-სამ პრემიას თითოეულ ჟანრში:

- 1-ლი პრემია — 100 ლარი,
- მე-2 პრემია — 50 ლარი,
- მე-3 პრემია — 30 ლარი.

გარდა ამისა, გამარჯვებული ნაწარმოებები მიიღებენ ჰონორარს როგორც წესია (დასტამბვის შემდეგ). ცხადია კონკურსი დახურულია.

ამიტომ მიაწერეთ დევიზი და პატარა, დალუქულ კონვერტში მოათავსეთ თქვენი ნაღდი სახელი, გვარი და მისამართი.

საიუბილეო ნომერი ივნისში გამოვა, გთხოვთ ახლავე დაფაცურდეთ და 15 მაისამდე მომანოდოთ თხზულებები ჩემს ძველ მისამართზე:

თბილისი, რუსთაველის პრ. №42, „ნიანგის“ რედაქცია, კონკურსისათვის, ან კოსტავას ქ. №14, გამომცემლობა „სამშობლო“, ჟანი სიხარულიძეს.

მოუთმენლად გელოდებით! თქვენი ნიანგი.

P.S. კონკურსში გამარჯვებულებს ვეპატიჟებით საიუბილეო ბანკეტზე, რომელიც გაიმართება ან არ გაიმართება.

